ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4493098

ნომერი: AR1677585

თარიღი : 24.04.2019

გაცემის თარიღი : 10.05.2019

გაცნობის თარიღი : 12.05.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ომარ ხიზანიშვილის ქუჩა , N 135-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , გლდანის ტბის მიმდებარე; ქალაქი თბილისი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა, N 135;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ ხუხაშვილი პ/ნ 01007005565
- თბილისი ლუბლიანას ქ. N 31 ბ. 22

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეცნიერო და საგანმანათლებლო ობიექტები
  - სკოლა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და

განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 24 აპრილის NAR1677585 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N135-ის მიმდებარედ, გლდანის ტბის მიმდებარედ, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N135-ში (ს/კ N72.13.02.508 N72.13.02.396 N72.13.02.248) სკოლის (საშუალო სკოლა) რეკონსტრუქციაზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას. პასუხად გაცნობებთ, შემდეგს:

აღნიშნული მიწის ნაკვეთ(ებ)ი მდებარეობს სარეკრეაციო ზონაში. სარეკრეაციო ზონებში, კერძოდ სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)- ში, სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ში და სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3)-ში საშუალო სკოლის განთავსება არ განეკუთვნება ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით განსაზღვრულ დასაშვებ სახეობებს. აღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს აღნიშნულ ზონაში სარეკონსტრუქციო შენობის განსათავსებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.